ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (20952) — შაბათი, 8 სექტემბერი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.



პირველობას არ თმობენ

საამენინერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველი — გამომთვლელი მანქანების ქარხნის კოლექტივი, შექმნილი არცთუ ხახარბიელი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობს ხიძნელეების გადალახვას და ყველაფერს ღონობს, იმუშაოს ისე, როგორც ეს მაღალი პოტენციალის ინტელექტუალურ საწარმოს შეეფერის. გარდა ძირითადი პროდუქციისა, აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფართო მოხმარების საგნების დამზადებას. გაერთიანება კავშირის მასშტაბით სატელევიზიო სათამაშო ავტომატების დამუშავებას, და ათვისებაში ერთ დროს პირველი იყო და ამ მიმართულებით საქმიანობა დღესაც გრძელდება. წლეულს ქარხანა გაცილებით მეტ ფართო მოხმარების საგნებს მიაწვდის მომხმარებელს, ვიდრე შარშან. ეს იმანაც განაპირობა, რომ ახლა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებზე მოთხოვნილება შემცირდა.

სურათზე: ქარხნის ნაბეჭდი სქემების გაბურღვის საამქროს ოპერატორი მანანა ჯინჭარაძე, საამქროს უფროსი ვაჟა რევიშვილი და ოპერატორი ზაირა სარქისოვა მუშაობის დროს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ზეთანხმება

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კავშირურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების ძირითად მიმართულებათა შესახებ

აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მთავრობები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა განმტკიცების, მათი წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებასთან დაკავშირებული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა ერთმანეთთან კონტაქტებისა და კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოება, სახალხო მეურნეობის მართვის შეძენილი მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება.

მხარს უჭერენ რა საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა ამოცანებისა და ფუნქციების შეცვლის, მმართველობის აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის სუვერენულ რესპუბლიკათა კურსს, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მთავრობებს საჭიროდ მიიჩნიათ განახორციელონ ღონისძიებანი ყოველმხრივი სამეგობრო კონტაქტების დამყარების, თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების, ტრადიციული მეგობრული კავშირურთიერთობის ახალ თვისებრივ დონეზე აყვანის და ორივე რესპუბლიკაში საარსებო პრობლემათა გადაჭრის დაჩქარების მიზნით.

ეკონომიკის სფეროში — განვითარონ რესპუბლიკათა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების — მანქანათმშენებელი, სათბობენერგეტიკული, აგროსამრეწველო, სამშენებლო და სხვა კომპლექსების თანამშრომლობა სამეურნეო კავშირურთიერთობათა გაფართოების, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში თვისებრივად ახალ საწარმოო ურთიერთობათა შექმნის გზით, ამასთან გაუწიონ პრაქტიკული დახმარება მეურნეობის ახალი ეკონომიკური მეთოდების ათვისებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ მოხმარებაში, განახორციელონ ეს ძირითადად სახელშეკრულებო ეკვივალენტურ საწყისებზე, რაც ყველაზე სრულად შეესაბამება თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებს.

ერთობლივად დაამუშაონ და აწარმოონ ადგილობრივი საშენი მასალები, ცალკეული სახეობათა მოწყობილობა და ნაკეთობანი ბინებისა და სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გააფართოონ ბეჭდვითი პროდუქციის, სატელევიზიო და რადიოგადაცემების გაცვლა, დაიჩქარონ რეტრანსლატორთა მშენებლობა. შეიმუშაონ ეროვნულ ენებზე მოზარდ თაობის სწავლების, უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას რესპუბლიკური ლიმიტების ურთიერთგადაცემის გზით სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მომზადების საქმეში თანამშრომლობის დამატებითი ღონისძიებანი. ფართოდ დანერგონ მუშაობის მოწინავე გამოცდილების სარესპუბლიკათაშორისო გაცვლა.

იზრუნონ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეროვნული ენების აქტიური ფუნქციონირებისათვის, წაახალისონ რესპუბლიკების ტერიტორიებზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა მოქალაქეების მიერ ეროვნული ენების შესწავლა.

კულტურის სფეროში — განვითარონ კულტურის დაწესებულებათა, გამოფენებათა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მჭიდრო თანამშრომლობა. უფრო ხშირად გაცვალონ პროფესიული, სახალხო თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები, მოაწყონ საღამო-შეხვედრები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, გამოსცენ ორი რესპუბლიკის კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები. განახორციელონ ღონისძიებანი სატელევიზიო გადაცემების, ტელესიუჟეტების, ფილმების, საკონცერტო პროგრამების გაცვლის გასაფართოებლად.

რეგიონში ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური და სანიტარიული ვითარების გაჯანსაღების სფეროში — გაითვალისწინონ კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება ეკოლოგიური და სანიტარიული თვალსაზრისით არასახარბიელო ობიექტების აღსადგენად, მოახდინონ წყალსარგებლობის კარდინალური გარდაქმნა დამზოგველი ტექნოლოგიების საფუძველზე. გასწიონ სათანადო მუშაობა ტყის რესურსების შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, ერთმანეთს გაუზიარონ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელების გამოცდილება.

მმართველობითი საქმიანობის სფეროში — რეგულარულად გაცვალონ სახელმწიფო და სამთავრობო აპარატების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, მონათესავე საწარმოებისა და გაერთიანებების მუშაკთა დელეგაციები მეურნობრიობის, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის შემოღების ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილების გასაცნობად. გაგზავნონ ცალკეული მუშაკები, სპეციალისტები სტაჟირებისათვის, მმართველობითი შრომის ორგანიზაციისა და გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი კონტროლის მოწინავე პრაქტიკის დასაუფლებლად როგორც უშუალოდ სახელმწიფო ორგანოთა აპარატებში, ისე რესპუბლიკათა საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში.

ამ შეთანხმების შესაბამისად განსახორციელებელ ღონისძიებათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის რესპუბლიკების ურთიერთმოქმედებისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკოორდინაციო საბჭოს შექმნა.

საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა ყალიბდება თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც წინამავე ორივე რესპუბლიკის მთავრობები.

საბჭო უზრუნველყოფს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პოლიტიკის ზოგად დებულებათა კოორდინაციას. მის გამგებლობას განეკუთვნება ორივე რესპუბლიკის ინტერესების გამომხატველი საკითხები, ერთობლივ გადაწყვეტილებათა შემუშავება მათ გამო, მეთვალყურეობა მათი შესრულებისადმი, გადაწყვეტილებათა მიღება უკვე შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით. საბჭოს გადაწყვეტილებანი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ, აპრობირებას გადიან რესპუბლიკათა ეკონომიკურ, სადირექტივო და საკანონმდებლო ორგანოებში, ისინი ფორმდება მათი აღმასრულებელი ორგანოების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

საბჭომ მოამზადოს 15 სექტემბრისათვის კონკრეტული წინადადებანი 1991 წლის ურთიერთშეწოდებათა შესახებ, ზოლო წლის დასრულებისათვის — თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამა.

მთელი განსახორციელებელი მუშაობა მოახმაროს გაღრდაქმნით დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ერთი და ეროვნებათა თავისუფალი ჯანვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას; ჩვენი მოძმე რესპუბლიკებისა და მთელი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

შეიქმნას რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივი წარმომადგენლობანი ქალაქ ბაქოსა და ქალაქ თბილისში.

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

შეთანხმება ხელმოწერილია ექვს ცალად აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ ენებზე, ყოველ ეგზემპლარს თანაბარი ძალა აქვს.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჰ. ჯასანოვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ჯიოანავა.

ქ. თბილისი. 1990 წლის 15 აგვისტო.

ასეთი შეთანხმება უკვე დაიდო ყირგიზეთთან. მიმდინარეობს მოლაპარაკება ასეთი შეთანხმების დასადებად სომხეთთან, აზახეთთან, უზბეკეთთან, ესტონეთთან და სხვა რესპუბლიკებთან.

რთველის მოღოდინში

მარნის კარი გვიჭრიალებს

ფელს რთველი კახეთში შედარებით მოგვიანებით დაიწყება — წვიმიანმა აგვისტომ წონა შემატა მტევანს, მაგრამ ცარკეულად შეაფერხა შაქრიანობის მატება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ყურძნის კრეფა კარზეა მომდგარი და სადღეისო მზადყოფნაზე ბევრად არის დამოკიდებული საბოლოო შედეგი.

ის, რომ ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის ფასმა მოიმატა, უეჭველია, კეთილმყოფელ გავლენას იქონიებს მთლიანად დარგის განვითარებაზე და გარკვეულწილად რთველს შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ წარმართვაზეც, მაგრამ ბევრი მევენახის აზრით, ამ თავისთავად მნიშვნელოვანმა და მისასალმებელმა გადაწყვეტილებამ დაიგვიანა. წლების მანძილზე განუხრელად იზრდებოდა და იზრდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, სარ-მავთულის, სხვა დამხმარე მასალების ფასი, ყურძნისა კი არა, ამ მეტად არსებითი გაძვირების ფონზე, ყურძნის ფასების ანლანდლამ მომატებამ, შესაძლოა სასურველი ეფექტი არ გამოიღოს. მითუმეტეს, რომ საკარმიდამო ნაკვეთში ხილის თუ ბალჩეულ-ბოსტნეულის მოყვანა, გლეხისთვის კვლავაც უფრო მომგებიანია, ვიდრე ყურძნისა. რა თქმა უნდა, ადრინდელი ინერციით მას შეიძლება ვაზისა და საქმის ღალატიც დავაბრალოთ, მაგრამ ეს საყვედური სამართლიანი არ იქნება.

ეკონომიკური და ზნეობრივი კატეგორიების ურთიერთადრევა, ვერ შეუწყობს ხელს დარგის სწორ გზაზე გაყვანის საქმეს, რაც აუცილებელია დღესვე და უფრო აუცილებელია ხვალ, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირობებში. ისე, რომ დარგში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა დაგროვილი. წლევანდელმა რთველმა ბევრ კითხვაზე უნდა უპასუხოს. ერთ-ერთი მთავარი მათგანია, თუ რა შედეგს გამოიღებს ვენახში იჯარის ფართო დანერგვა.

ამის თაობაზე ახლავე შეიძლება გარკვეული პასუხის გაცემა — გვითხრა ახმეტის რაიონის ოქიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შალვა ბაკურიძემ — ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ვენახის ოქელის ხარისხი და ეს, უპირველეს ყოვლისა, იჯარის დამსახურებაა.

ოქიო მცირერიცხოვანი სოფელია. ტრადიციულად აქ ყოველთვის ჭირდა ვაზის პატრონობა, რომელსაც ხუთასამდე ჰექტარი უკავია. ამიტომ სოფლის წარმატება-წარუმატებლობა დამატებით ძალაზე იყო დამოკიდებული. ამჟამად ამგვარი დახმარება სულ უფრო ნაკლებად საჭირო ხდება. საბოლოო შედეგით ადამიანთა დაინტერესებამ გაზარდა მათი მონდომება, სრულად გამოავლინა პიროვნების შესაძლებლობები. უხვ მოსავალს ოქელის ხუთკაციანი რგოლი, რომელსაც 18 ჰექტარი აქვს გაპიროვნებული. რა თქმა უნდა, მათ ოჯახის წევრებიც ეხმარებიან, ისინიც, ვინც სოფლის გარეთ ანდა თვით სოფელში გასხსნილ სამკერვალო საამქროებში მუშაობენ.

ის, რომ სოფლად მომრავლდა სამრეწველო ობიექტები, ხვადასხვა სახის კოოპერატივები, დღევანდელი რეალობაა და ამას ვერსად წაუვლენ მეურნეობის ხელმძღვანელები. არსებული კონკურენციის პირობებში აუცილებელია შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვა, რათა სრულად დაფასდეს გლეხის გარჯა ახლა, როცა რთვლამდე სულ მცირე დრო დარჩა. შეიძლება ითქვას, რომ წელს ოქიოელებმა კარგად მოუარეს ვენახებს და გეგმიურ ხელარს, რომელიც 2812 ტონა ყურძნის წარმოებას გულისხმობს, მნიშვნელოვნად გადაჭარბებენ.

სულ რაიონში 30 ათასი ტონა ყურძნის დამზადებას ვარაუდობენ, არსებობს სრული შესაძლებლობა ამ მაჩვენებლის მისაღწევად, თუ საწვავის ქრონიკულ უკმარისობას რაიმე ეშველა. ის, რომ რთველი წელს შედარებით გვიან დაიწყება, მის შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარებას ითხოვს. ამდენად საჭიროა მანქანების კონცენტრაცია, ადამიანთა მობილიზება, მათი ეფექტიანი შრომა. მიუხედავად ვაზის მრავალგზის მკურნალობისა, უმეტეს საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურძნის ჭია მძლავრობს. ამიტომ საბოლოო, სასურველი შედეგის მიღწევა ყურძნის კრეფის სწრაფ ტემპს ითხოვს. ამ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ახმეტის ღვინის ქარხნის მუშაკებმაც.

როგორც მისალები ხაზების რაოდენობა, ასევე ქარხანაში არსებული ჭურჭლის ტევადობა, იმის გარანტიას იძლევა, რომ გეგმიურზე გაცილებით მეტი ყურძენი მივიღოთ და გადაამუშაოთ, — გვითხრა ახმეტის ღვინის ქარხნის დირექტორმა სოლომონ სამხარაულმა.

ღვინის ქარხანა წლეულდლიდან სამეუტნეო ინგარიშზეა გადასული. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვინომასალების რაოდენობასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება მის ხარისხს. როგორც სხვაგან, ახმეტის ქარხანაშიც, ოთხმოცდანი წლების დასაწყისში დაამონტაჟეს, როგორც შემდგომში გაირკვა, გამოუსადეგარი 200-ტონიანი ავზები, რომელთა ბედი კარგა ხანს გაურკვეველი რჩებოდა. ახლა თითოეულს რაიონის საბჭოთა მეურნეობები ყიდულობენ 2.500 მანეთად, შუაზე ჭრიან და იყენებენ მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესახანად. რაც შეეხება ხარისხოვანი ღვინის დაყენებას, სამისოდ ახმეტელებს ვაიჩნიათ საჭირო რაოდენობის მომინანჭრებული ჭურჭელი, რომელიც იძლევა სრულ შესაძლებლობას წლის მანძილზე 2 მილიონი დეკალიტრი ღვინომასალა დაამუშაოს. წლიდან წლამდე იზრდება სამარაო ღვინის ხვედრითი წილი, წელს გათვალისწინებულია 300 ათასი დეკალიტრი „ახმეტის“, „ვაზისუბნის“, „ბახტრიონის“ დამზადება.

ისე, რომ ახმეტელები მზადყოფნაში ხვდებიან რთველს, მთავარია შეფერხება არ იყოს საწვავით მომარაგებაში, თორემ დიდი გარჯით მოწეულ მოსავალს, მზრუნველი და მოჭირნახულე კაცი არ მოაკლდება.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია

რეგისტრაციაში გატარებულად ითვლებიან

თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან, რომლებსაც საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაზე უარი უთხრა, რვა მათგანმა ახარგებლა უფლებით, გაესაჩივრებინა კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ასეთი უფლება, როგორც ცნობილია, მათ მიანიჭა ახალმა კანონმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ.

როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოში გვაცნობეს, შეტანილი სარჩელების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ექვს პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს რეგისტრაციის საფუძველი. ესენია — საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს შრომის პარტია, საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ეროვნული პარტია, საქართველოს ეროვნული თავისუფლების და აღორძინების კავშირი, საქართველოს აგრარული კავშირი, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“.

განმარტა რა ეს ფაქტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ყორდანიამ თქვა:

— რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ყველა აღნიშნული პარტია რეგისტრაციაში გატარებულად ითვლება.

ამრიგად, საქართველოს მომავალ პარლამენტში დეპუტატთა მანდატებისათვის წინასაარჩევნო ბრძოლაში ებმება 35 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არჩევნების შესახებ ახალი კანონის თანახმად, მათ უფლება აქვთ თავიანთი შენდეულებისამებრ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად, რომელთა ფორმირება და რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მთავრდება არჩევნებამდე 40 დღით ადრე, ესე იგი 18 სექტემბერს. (საქინფორმი).

მუშაობა დაამთავრა დამფუძნებელმა ყრილობამ

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში, მუშაობას განაგრძობდა რუსეთის სფსრ კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მეორე ეტაპი. დელეგატებმა მოისმინეს ხმის დამფლელი კომისიის თავმჯდომარის ი. ბ. ფორობიოვის ცნობა რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობის არჩევნების შედეგების შესახებ. ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები, აგრეთვე რუსეთის სფსრ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობანი.

ამ ბოლო ხანს რუსეთის სფსრ კომპარტიაზე და ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანზე ტენდენციური თავდასხმების გამო თავიხი პრინციპული პოზიცია გამოთქვა ი. კ. პოლოზკოვმა. შემდეგ ყრილობაზე განახლდა კამათი დამთავრების შემდეგ ი. კ. პოლოზკოვმა უპასუხა შემოსულ კითხვებს.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც მოიწონა სკკპ XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი და დაამტკიცა რუსეთის სფსრ კომპარტიაში რეფერენდუმის დებულება.

ამით ყრილობამ მუშაობა დამთავრა.

სუსხიანი სტრიქონები

კვლავ შველას ითხოვენ

ახალი სასწავლო წლის წინ

სექტემბრის ზარს მოუთმენლად მოელიან ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის მოსწავლეები. მაგრამ მარტო სწავლის დაწყების მოლოდინი ზარის ხმა როდია საკმარისი. სკოლის მთავარი შენობის კედლები ავარიულია, მაგმბარე ნაგებობანი — მიხგრეულ-მონგრეული.

როგორც მკითხველებმა იციან, მომდინარე წლის 21 აპრილის „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი — „მოსწავლეები შველას ითხოვენ“. წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სუფსის საშუალო სკოლის ნახევარსუკეთოვანი შენობა დალპა. სკოლის 400-ზე მეტი მოსწავლისა და 50 მასწავლებლისათვის მისი ფართობი მეტად მცირეა, მოუხერხებელია გაკვეთილების ჩატარება ვიწრო საკლასო ოთახებში.

ყოველივე ეს გაითვალისწინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისი გადაწყვეტილებით 1988 წლის ზაფხულში დაიწყო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა. ადგილი რომ გათავისუფლებინათ, ჯერ დამხმარე ნაგებობანი დანგრიეს, სადაც მოთავსებული იყო სამი საკლასო ოთახი, მოსწავლეთა სახელოსნო, ხატვის კაბინეტი, ბუფეტი... ამის შემდეგ ეზოში, ძველი კორპუსის გვერდით გათხარეს ვეებერთელა ღრმა ორმოები (საძირკველი), სადაც წყალი ჩადგა.

ამის შემდეგ სკოლა გადავიდა ორცალიან მეცადინეობაზე. ბავშვები რამდენიმე კილომეტრით დაშორებული სოფლებიდან დადიან, საღამოს გვიან უსდებათ შინ დაბრუნება. ყმაწვილები მშობლებმა ჯერ სკოლაში უნდა მოაცილონ შემდეგ კი შინ წაიყვანონ.

საქმე კი არ იძერის — მშენებლობა მიწასაც არ აშორებია.

აღნიშნული მშენებლობისათვის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით დაშვებულია 978 ათასი მანეთი. მაგრამ დამკვეთმა — სამტრედიის ქალაქტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველომ (უფროსი ა. გოგოლაძე) წელს მხოლოდ 4,0 ათასი მანეთი დაუშვა ამ სკოლის საამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად...

ამ დღეებში ლანჩხუთის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ავთანდილ ანთაძემ, № 70 სამშენებლო მოძრაკ-მექანიზებული კოლონის უფროსმა რ. ორაგველიძემ, ამ ორგანიზაციის მთავარმა ინჟინერმა ი. იმნაძემ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან დ. გოგუაძესთან ერთად კიდევ ერთხელ ვნახეთ აღნიშნული სკოლის მშენებლობა, ვესაუბრეთ აღელვებულ მასწავლებლებს და მოსწავლეთა მშობლებს.

ეს ადგილი წინათ თავადი გურიელების სამფლობელო იყოო, გვითხრეს. თვალი უკეთეს სანახაობას ვერ ინატრებს. მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე მართლაც წალკოტშია გაშენებული სკოლა. მაგრამ რად გინდა, ზასიათი წაგიხდება, როცა ეზოში შესული ჩამოფაფავებულ ნაგებობებს შეხედავ. სკოლის დირექტორმა რ. ფასაძემ თავისი სათქმელი რამდენიმე სიტყვით გამოხატა: რესპუბლიკაში ასე გაჩანაგებული სკოლა, ალბათ, მეორე არ იქნებაო. განა შეიძლება ამდენი მოსწავლე და მთელი პედაგოგიური კოლექტივი ნიადაგ შიშში იყოს, არიქა, ახლა ჩამოგვენგრევა ჭერიო?

თურმე ამას წინათ საძირკვლისათვის გათხრილ ორმოში ჩამდგარ წყალში მე-3 კლასის მოსწავლე ა. ნაკაიძე ჩავარდნილა და ძლივს გადაურჩენიათ.

ყველამ ვიცით, რომ ამჟამად საშენი მასალა ჭირს, რომ მისი დიდი დეფიციტია. მაგრამ ის ფაქტი როგორღა ავხსნათ, რომ როგორც № 70 მოძრაკ-მექანიზებული კოლონის თავკაცებმა გვითხრეს, მათი ინერტული მასალების მოსაპოვებლად საჭირო ექსკავატორი კვირაობით უქმად დგას მდინარე სუფსის სანაპიროზე? ამბობენ, სუფსელები უკრძალავენ მუშებს მაგ მასალის გატანას (თუმცა იციან, რომ მათი შვილებისა და შვილიშვილების სკოლის მშენებლობას უნდა მოხმარდეს!), თუმცა ამ ღროს მდინარის იმავე ნაპირიდან ათეულობით ავტომანქანას სისტემატურად გაიქეს ეს „აკრძალული“ ინერტული მასალა...

ამჟამად ადგილობრივ საამშენებლო ორგანიზაციებს საშენი მასალები არ მოეპოვებათ. სუფსელ მოსწავლეთა და მათი აღმზრდელების სიცოცხლე კი, რომ იტყვიან, ბეწვზე ჰკიდია. შეიძლება ერთ დღეს უბედურება დატრიალდეს და ეს ძირგამომპალი ნაგებობა ერთბაშად დაინგრეს.

თუ ახლავე არ მივხედეთ საქმეს, შემდეგ გვიანია იქნება.

ბეგლარ ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ბამთარი მკაცრი გამომცდელია

სანამ თბილა

ზამთრისათვის მზადებას მიეძღვნა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის და საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ გაფართოებული თათბირი. მოსახსენებელი სიმუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ლევან პატარიძე. თათბირზე გამოვიდნენ ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკ[illegible]

მწვავედ ითქვა, რომ ქალაქის საცხოვრებელ ბინებში და საწარმო-დაწესებულებებში არ [illegible]ის ნორმალური კეთობა. ორ ულზე მეტი, რაც ფუნქციონირებს [illegible] ბინაზილის [illegible] ელექტროენერგიის [illegible] ასკომის თავმჯდომარის მოადგილე ლევან პატარიძე. თათბირზე გამოვადნენ ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკ[illegible]

ბევრმა მობინადრემ, იმის გამო, რომ მათი ბინა ნორმალურად არ თბება, უარი თქვა გათბობის ქერის გადახდაზე.

მეშახტეთა ქალაქში უამრავი საქვაბეა, რაც ფინანსურად ძმიმე ტვირთად აწვება კომუნალურ სამსახურს და ამასთანავე ეკოლოგიურად მეტად მავნეა. თათბირზე დასახეს შესასრულებელ სამუშაოთა კონკრეტული ღონისძიებანი და ზამთრისათვის სამზადისის შემაფერხებელ გარემოებათა გამოსწორების გზები და საშუალებანი, ყველამ უნდა გაითვალისწინოს შარშანდელი მკაცრი გამოცდა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ქვანახშირის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკა მდარე ხარისხის ქვანახშირს აწვდის საქვაბეებს, რის გამოც გათბობაც ცუდია. ქვაბურდება ზოგიერთი საქვაბის მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები.

სანამ თბილა ზამთრის სეზონისათვის მზადება არ უნდა შეფერხდეს და ყველაფერი უნდა გაკეთდეს ხაიმისოდ, რომ მოსახლეობამ ნაკლებად იგრძნოს ცივი დღეების სუსხი.

გივი გეწაძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და წევრების დანიშვნის შესახებ

განიხილა რა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, „შრომითი" კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების და „მომრჩევლთა ჯგუფების წინადადებანი, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების 125-ვე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და ოთხ-ოთხი წევრი:

ქ. თბილისი ლენინის რაიონი

№1 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ერნა არტემის ასული **თოდუა** — მუსიკალური სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

წევრები:

იური რობიზონის ძე **დავითაშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს ცვლის ოსტატი.

ნეტრონ ილიას ძე **მოხიძე** — №1 სამშობიარო სახლის ექიმ-ორდინატორი.

გიორგი ამირანის ძე **ქაჯაია** — ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი.

მანანა ალექსანდრეს ასული **წნორიაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

მისამართი: ოქტომბრის ქ. №26, ტელ.: 95-09-14.

№2 დავით გურამიშვილის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ალექსანდრე გიორგის ძე **ლუარსაბიშვილი** — გაზის აპარატურის ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე.

წევრები:

გიორგი ზაქარიას ძე **ბარბაქაძე** — საწარმოო გაერთიანება „საავტომრემონტის" გენერალური დირექტორის მოადგილე.

ამირან ლევანის ძე **მათითაშვილი** — ლენინის რაიონის ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

თინათინ მარკოზის ასული **ხირაძე** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვებარომატკომპლექსის" თანამშრომელი.

ფიორგი გიორგის ძე **ქადაგიძე** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

მისამართი: დ. გურამიშვილის პრ. №34, ტელ.: 66-04-02.

№3 მარიამ გარიყულის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ნიკოლოზ ალექსის ძე **ანდრიაძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

წევრები:

იზოლდა გიორგის ასული **ათანელიშვილი** — სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ისრის" სექტორის უფროსი.

ციასანა გიორგის ასული **ელერდაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის სექტორის გამგე.

აკაკი ალექსანდრეს ძე **მაკარიძე** — ლენინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საბინაო ტრესტის იურისკონსულტი.

ნუგზარ სიმონის ძე **მილორავა** — ქარხანა „აქატის" წარმოების უფროსის მოადგილე.

მისამართი: ძმები გარიშვილების ქ. №5, ტელ.: 62-92-92.

№4 თემქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ოთარ მიხეილის ძე **ულენტი** — გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ქარხნის დირექტორის მოადგილე.

წევრები:

ავთანდილ სერგის ძე **ირემაშვილი** — ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

მამია პარმენის ძე **კუკავა** — პურ-ფუნთუშეულის საცდელ-საექსპერიმენტო კომბინატის დირექტორის მოადგილე.

დავით დანიელის ძე **ფრუიძე** — საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორი.

გარი არშაკის ძე **ყორღანაშვილი** — №7 მოზრდილთა პოლიკლინიკის ექიმი.

მისამართი: თემქის დასახლება XI მიკრორაიონი, ტელ.: 66-34-62.

დიდუბის რაიონი

№5 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

იაკობ ანტონის ძე **მახარაძე** — დიდუბის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

წევრები:

ზურაბ რევაზის ძე **ბოლქვაძე** — სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე.

დავით თენგიზის ძე **ბურჭულაძე** — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს გაანყოფილების გამგე.

ლიანა ლეონტის ასული **თოდუა** — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.

ზურაბ გურამის ძე **ჯოჯიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის დიდუბის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

მისამართი: ჩოდრიშვილის ქ. №8, ტელ.: 95-06-71.

№6 დიღმის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ლილი ნიკოლოზის ასული **მგალობლიშვილი** — 22-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

წევრები:

მიხეილ ოთარის ძე **ბახტაძე** — მაუდ-კამოვოლის კომბინატ „საქართველოს" პარტიული კომიტეტის მდივანი.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ვაშაკიძე** — საიუველირო ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

ნონა შალვას ასული **მაღრაძე** — №1 ბავშვთა სახლის დირექტორი.

პეტაგია რევაზის ასული **მუხიგულაშვილი** — ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკის განყოფილების გამგე.

მისამართი: რობაჭიძის პრ. №7, ტელ.: 51-01-01.

ოქტომბრის რაიონი

№7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ალექსანდრე გიორგის ძე **ლუარსაბიშვილი** — გაზის აპარატურის ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე.

წევრები:

გიორგი ზაქარიას ძე **ბარბაქაძე** — საწარმოო გაერთიანება „საავტომრემონტის" გენერალური დირექტორის მოადგილე.

ამირან ლევანის ძე **მათითაშვილი** — ლენინის რაიონის ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

თინათინ მარკოზის ასული **ხირაძე** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვებარომატკომპლექსის" თანამშრომელი.

ფიორგი გიორგის ძე **ქადაგიძე** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

მისამართი: დ. გურამიშვილის პრ. №34, ტელ.: 66-04-02.

№3 მარიამ გარიყულის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ნიკოლოზ ალექსის ძე **ანდრიაძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

წევრები:

იზოლდა გიორგის ასული **ათანელიშვილი** — სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ისრის" სექტორის უფროსი.

ციასანა გიორგის ასული **ელერდაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის სექტორის გამგე.

აკაკი ალექსანდრეს ძე **მაკარიძე** — ლენინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საბინაო ტრესტის იურისკონსულტი.

ნუგზარ სიმონის ძე **მილორავა** — ქარხანა „აქატის" წარმოების უფროსის მოადგილე.

მისამართი: ძმები გარიშვილების ქ. №5, ტელ.: 62-92-92.

№4 თემქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ოთარ მიხეილის ძე **ულენტი** — გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ქარხნის დირექტორის მოადგილე.

წევრები:

ავთანდილ სერგის ძე **ირემაშვილი** — ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

მამია პარმენის ძე **კუკავა** — პურ-ფუნთუშეულის საცდელ-საექსპერიმენტო კომბინატის დირექტორის მოადგილე.

დავით დანიელის ძე **ფრუიძე** — საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორი.

გარი არშაკის ძე **ყორღანაშვილი** — №7 მოზრდილთა პოლიკლინიკის ექიმი.

მისამართი: თემქის დასახლება XI მიკრორაიონი, ტელ.: 66-34-62.

დიდუბის რაიონი

№5 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

იაკობ ანტონის ძე **მახარაძე** — დიდუბის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

წევრები:

ზურაბ რევაზის ძე **ბოლქვაძე** — სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე.

ნინო ალექსანდრეს ასული **ბერიძე** — ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორი;

ვაჟა შალვას ძე **ნადიბაიძე** — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი;

ამირან კონსტანტინეს ძე **ხიდაშელი** — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ვაკის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 28, ტელ. 22-30-16.

№ 11 ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

შოქრი ამბროსის ძე **გორგოძე** — № 2 საქმესპერიმენტო საშუალო სკოლის დირექტორი.

წევრები:

მურად შოთას ძე **გელოვანი** — საპროექტო ინსტიტუტის „საქვებმრეწველსახპროექტის" დირექტორის მოადგილე;

პაატა ირაკლის ძე **ლასურაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ვაკის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი;

მალხაზ ალექსის ძე **მიმინოშვილი** — ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტის" განყოფილების უფროსის მოადგილე;

ზოია იასონის ასული **ფერაძე** — საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის კულტურის სასახლის დირექტორის მოადგილე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. № 43, ტელ. 39-19-31.

№ 12 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

მარინა შოთას ასული **ოდილავაძე** — ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი.

წევრები:

რევაზ სარდიონის ძე **ბარკაია** — № 1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის ინჟინერი;

ნათელა აკაკის ასული **ყორდანია** — 28-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

თეიმურაზ კონსტანტინეს ძე **მანჯგალაძე** — 170-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

ვახტანგ ოთარის ძე **ხიკინავა** — მცირე სიმძლავრეების ელმანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

მისამართი: ნუცუბიძის პლატო II მიკრორაიონი, ტელ. 39-38-19.

კრწანისის რაიონი

№ 18 კრწანისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ილისო ზურაბის ასული **დარიბაშვილი** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დარგობრივი გამოთვლითი ცენტრის დირექტორი.

წევრები:

კარლო თეიდორეს ძე **ბარქაია** — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წარმოწყება „ფონიჭალის" დირექტორი;

სერგო არტემის ძე **ბაციაშვილი** — საქართველოს კომპარტიის კრწანისის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე;

რაფიელ გიორგის ძე **გელბახიანი** — მე-16 აფთიაქის გამგე;

ასმათ გიორგის ასული **კაპანაძე** — ბალნეოლოგიური კურორტის ბაქტერიოლოგი.

მისამართი: კრწანისის ქ. № 3 ტელ. 72-14-73.

ისნის რაიონი

№ 14 ისნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ლეილა რაფდენის ასული **ადამია** — 98-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

წევრები:

ლუდგვა ცოლაკის ძე **ავთიანი** — ისნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგის მოადგილე;

გულთაფ ევგენის ძე **ლაბარტყავა** — ბინსოცბანკის ისნის რაიონული განყოფილების მმართველი;

ნელი ივანეს ასული **ხოსელია** — 86-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

აკაკი ნიკოლოზის ძე **ცოფურაშვილი** — საწარმოო გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატის" პარტბიუროს მდივანი.

მისამართი: შაუმიანის ქ. № 92 ტელ.: 74-59-06.

№ 15 ნავთლუღის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ირაკლი ალექსანდრეს ძე **მელიქაძე** — სავაჭრო-საწარმოო გაერთიანება „ოქსინოს" პარტბიუროს მდივანი.

წევრები:

ანზორ ვარლამის ძე **მაღლაკელიძე** — ისნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების სპეციალისტი;

გურამ კონსტანტინეს ძე **მენაბდე** — კერამიკის კომბინატის დირექტორის მოადგილე;

გრიგოლ ნესტორის ძე **ფილფანი** — პრესონალური პენსიონერი;

ოთარ ჯუმბერის ძე **ძიმისტარაშვილი** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყობ" განყოფილების გამგის მოადგილე.

მისამართი: ხმელნიცკის ქ. № 61 ტელ.: 74-73-61.

№ 16 ვაზისუბნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

დავით ივანეს ძე **მუჩიაშვილი** — ისნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების რევიზორ-ინსპექტორი.

წევრები

ამირან დავითის ძე **ედიბერიძე** — ავტოკოლონა 2651-ის უფროსი;

დავით ზაქარიას ძე **მოწონელიძე** — საწარმოო გაერთიანება „თბილლითონნაწარმის" პარტბიუროს მდივანი;

რაფაელ არტემის ძე **ძამეკავი** — 92-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

გელეკვან გიორგის ძე **ძნელაძე** — 179-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

მისამართი: ვაზისუბნის დასახლება, ყორპუნი 7ა 78-41-81.

№ 17 ვარკეთილის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ელდარ ლევანის ძე **მაისურაძე** — ისნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის იურისკონსულტი;

წევრები

მანანა მიხეილის ასული **აბუთაძე** — კერამიკის კომბინატის კანცელარიის გამგე;

ნელი მიხეილის ასული **თავართქილაძე** — 185-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

ელგუჯა იაკობის ძე **ნემსიწვერიძე** — 176-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

ნელი პეტრეს ასული **წერეთელი** — 196-ე საბავშვო ბაღ-ბაღის სამეურნეო ნაწილის გამგე.

მისამართი: ვარკეთილის 3, 1 მიკრორაიონი, ყორპუნი 16 ა ტ. 73-31-61.

სამგორის რაიონი

№ 18 სამგორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

რევაზ გიორგის ძე **მამაცაშვილი** — სამგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგის მოადგილე.

წევრები:

მერაბ ივანეს ძე **გონდაური** — „ავტოკავშის" გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

ელზა სიმონის ასული **მოხიაშვილი** — 108-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

თენგიზ იოსების ძე **ქანთარია** — ქარხანა „აგრეგატის" პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

ზაურ ლავრენტის ძე **ჩარკვიანი** — მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკის ინჟინერი.

მისამართი: 103-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნის შენობა, ორრევის დასახლება. ტელ: 73-80-40

№ 19 ლილოს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ნოეზარ შალვას ძე **რობიტაშვილი** — საქმრეწკომბინატ „კახეთის" დირექტორი.

წევრები:

ვლადიმერ დავითის ძე **ნავდარაშვილი** — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პირველი საფრენოსნო რაზმის უფროსი ბორტინჟინერი.

სოლომონ ვახტანგის ძე **ნემსიწვერიძე** — სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

აკაკი ვასილის ძე **ფროტაძე** — ქარხანა „სოსოფლმანქანის" ინჟინერი.

ლიანა გიორგის ასული **ყოჩიაშვილი** — ქარხანა „თბილხელსაწყოს" ინჟინერი.

მისამართი: მე-16 მოზრდილთა პოლიკლინიკის შენობა ლილოს დასახლება, ტელ. 41-69-55.

№ 20 „საქჰიდროენერგომშენის" საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ივანე იროდის ძე **მიქაია** — № 107 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

წევრები:

შოთა ვლადიმერის ძე **მელიქიძე** — მე-2 სახლთმშენებელი კომბინატის ზეინკალი.

კობა აკაკის ძე **ლეტრეველი** — სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე.

მანანა სოლომონის ასული **მჭედლიშვილი** — 102-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პედაგოგ-ორგანიზატორი.

გია ავთანდილის ძე **ჯულაქიძე** — თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ინჟინერ-ტექნოლოგი.

მისამართი: ჭიჭინაძის ქ. 10, ტელ. 71-78-85.

საბურთალოს რაიონი

№ 21 ბახტრიონის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ირაკლი ალექსანდრეს ძე **მელიქაძე** — სავაჭრო-საწარმოო გაერთიანება „ოქსინოს" პარტბიუროს მდივანი.

წევრები:

ანზორ ვარლამის ძე **მაღლაკელიძე** — ისნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების სპეციალისტი;

გურამ კონსტანტინეს ძე **მენაბდე** — კერამიკის კომბინატის დირექტორის მოადგილე;

გრიგოლ ნესტორის ძე **ფილფანი** — პრესონალური პენსიონერი;

ოთარ ჯუმბერის ძე **ძიმისტარაშვილი** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყობ" განყოფილების გამგის მოადგილე.

მისამართი: ხმელნიცკის ქ. № 61 ტელ.: 74-73-61.

ოთარ დიომიდეს ძე **ბერიშვილი** — საბურთალოს რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი.

ელვირა ირაკლის ასული **დათუკიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ტექნიკოსი.

თამაზ შალვას ძე **კალმახელიძე** — საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ამირან უშანგის ძე **მიქაია** — საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მისამართი: საბურთალოს ქ. № 32, ტელ. 38-20-07.

№ 22 კოლხეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

მამული ვარლამის ძე **ლეონიძე** — ცეკავშირის თბილისის სასწავლო-საწარმოო კომპლექს-ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

წევრები:

ოთარ ელგუჯას ძე **თეთვაძე** — საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" განყოფილების გამგე.

ალექსანდრე ზურაბის ძე **კანდელაკი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის განყოფილების გამგე.

ალექსანდრე პეტრეს ძე **თუმანიშვილი** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქგზამეცნიერების" განყოფილების გამგე.

ლამარა ამბროსის ასული **მოსიძე** — № 63-ე ბავშვ-ბაღის გამგე.

მისამართი: მ. კოსტავას ქ. № 77, ტელ.: 36-07-62.

გლდანის რაიონი

№ 24 ავჭალის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ლეონიზა კუკურის ასული **ნეფაძე** — № 80 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

წევრები:

ზურაბ გრიგოლის ძე **ბახტაძე** — შამპანური ღვინოების ქარხნის მთავარი შამპანისტი.

გულინა რევაზის ასული **გოირხელიძე** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინსტრუმენტის" ელექტროზეინკალი.

ზაზა ვაჟას ძე **ლეჟავა** — „ცენტროლიტის მიკრორაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

მერაბ გიგის ძე **მიქაშავიძე** — სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ენისელის" მთავარი ინჟინერი მოადგილე.

მისამართი: ულიანოვის ქ. № 29, ტელ.: 62-40-02.

№ 25 ფორე მოსულიშვილის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

გია ვანოს ძე **ევსია** — მე-5 და მე-7 მიკრორაიონების საბჭოს თავმჯდომარე.

წევრები:

მანანა არსენის ასული **არაბული** — მოსწავლე ახალგაზრდობის რაიონული სახლის განყოფილების გამგე.

ქეთევან სულხანის ასული **ბახტაძე** — მე-6 და მე-8 მიკრორაიონების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

თამაზ ალექსანდრეს ძე **ულენტი** — საზოგადოებრივი კვების რაიონული ტრესტის განყოფილების უფროსი.

გურამ ბესარიონის ძე **მესხი** — ფორე მოსულიშვილის სახელობის მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე.

მისამართი: გლდანის დასახლების მეორე მიკრორაიონი, მიკროსაბჭოს შენობა, ტელ.: 67-14-64.

№ 26 მუხიანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

პავლე დავითის ძე **გელაშვილი** — სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის დირექტორი.

წევრები:

რობერტ მიხეილის ძე **დოლენჯაშვილი** — 1-ლი და მე-3 მიკრორაიონების საბჭოს თავმჯდომარე.

ნუნუ მელქოს ასული **კაკოჩაშვილი** — 184-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

ნოდარ გიორგის ძე **სუხიშვილი** — 181-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

გივი გალაქტიონის ძე **უნგიაძე** — საწარმოო გაერთიანება „ორიონის" განყოფილების უფროსი.

მისამართი: მუხიანის მეოთხე მიკრორაიონი, მე-18 საექსპლოატაციო უბნის შენობა, ტელ.: 68-30-48.

გარდაბნის რაიონი

№27 გამარჯვების საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

გია მიხეილის ძე **რამიშვილი** — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

წევრები:

ისმაილ ახმედ ოღლი **ბაირამოვი** — აღთაქლის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

შალვა იოსების ძე **გლოველი** — გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე;

როინ გიორგის ძე **ყურფარაშვილი** — მარტყოფის 115-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

ამირან გიორგის ძე **ჯინჭველაძე** — სოფელ გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი;

მისამართი: სოფ. გამარჯვება, კულტურის სასოფლო სახლი, ტელ.: 41-12-33.

№28 ქალაქ გარდაბნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

შერი მოსეს ასული **შენგელია** — გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

წევრები:

იაგო გონერის ძე **მაჩაბელი** — საქართველოს ახალგაზრდული კავშირის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე;

თამაზ იოსების ძე **მჭედლიძე** — — გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმეთა მმართველი;

ჯემსი ამბერკის ძე **ხარძიანი** — მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორის მოადგილე;

გულნარა აშოტის ასული **ჯალილოვა** — სახელმწიფო სადგასასხადო ინსპექციის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

მისამართი: გარდაბანი, საბჭოს ქ. №35, ტელ.: 26-34, 39-65.

მცხეთის რაიონი

№ 29 მცხეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

მირიან გიორგის ძე **მჭედლიშვილი** — საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

წევრები:

ალბერტი რაფდენის ძე **ინდუაშვილი** — რაიონის პროკურორის თანაშემწე;

მალვინა ჯემსის ასული **ხანფალიძე** — სასურსათო კომბინატის საამქროს უფროსი.

მისამართი: ქარელი, სარაიონო კულტურის სახლი, ტელ.: 3-16-59.

ხაშურის რაიონი

№35 ხაშურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

როსტომ ივანეს ძე **ჭიპაშვილი** — სოლოკომბინატი დეპოს უფროსის თანაშემწე;

წევრები:

ალექსი ტიმოთეს ძე **მახათაძე** — წიგნის მოყვარულთა რაიონული საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი;

თამაზ ავთანდილის ძე **ტაბატაძე** — გორის პოლიგრაფიული გაერთიანების ხაშურის სტამბის დირექტორი;

თეიმურაზ სერგოს ძე **ფარეიშვილი** — სახალხო სასამართლოს მოსამართლე;

კუკური სოლომონის ძე **ხარაზიშვილი** — იტრიის საშუალო სკოლის დირექტორი.

მისამართი: ხაშური, თამარ მეფის ქ. № 10, ტელ.: 2-34-29.

ბორჯომის რაიონი

№ 36 ბორჯომის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

შალვა ისაკის ძე **აიფურაძე** — ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე.

წევრები:

ვიოლეტა ვასილის ასული **ბალახაშვილი** — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი;

შოთა ტარიელის ძე **მიქაბერიძე** — დაბა ბაკურიანის ნადირომშენის საბჭოთა მეურნეობის მემანქანე;

ოთარ გრამიტონის ძე **სტაფაძე** — გაზეთ „ბორჯომი"-ს რედაქტორი;

ნუგზარ ივანეს ძე **ჩადუნელი** — ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

მისამართი: ბორჯომი, ჩაიკოვსკის ქ. № 5 ტელ. 23-62.

ახალციხის რაიონი

№ 37 ახალციხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ალექსანდრე მაქსიმეს ძე **ბერაშვილი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალციხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

წევრები:

ნოდარ ალექსის ძე **გოგიჩაშვილი** — № 40 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

იოსებ ტარიელის ძე **ეგნატაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე;

ვახტანგ თეიდორეს ძე **მელიქიძე** — ქ. ვალეს № 29 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

ეროსის პროფკომიტეტის თავმჯდომარე;

მარინე შმაუნის ასული **გოგიაშვილი** — კარალეთის საბჭოთა მეურნეობის № 1 საბავშვო ბაღ-ბაღის გამგე;

ნელი გიორგის ასული **ილარიშვილი** — სოფელ ქვახვრელის საბავშვო ბაღის გამგე;

ფიქრია სერგოს ასული **ხაბაშვილი** — სოფელ ვარიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მისამართი: სოფ. ვარიანი, კულტურის სახლი, ტელ.: 2-16-99.

ქ. გორი

№33 ქალაქ გორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ოთარ შალვას ძე **კლიმიაშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის გორის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი;

წევრები:

ლიანა შოთას ასული **ბედიანაშვილი** — გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდისტი;

ტარიელ გარსევანის ძე **თეთვაძე** — სახელმწიფო სტანდარტების გორის განყოფილების უფროსი ინჟინერი;

ბელა ბიბეკოს ასული **თოფჩიშვილი** — მრეწველმშენბანკის გორის განყოფილების მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე;

ალიკ გივის ძე **ლურსმანაშვილი** — საქართველოს კომპარტიის გორის გაერთიანებული კომიტეტის ინსტრუქტორი.

მისამართი: სტალინის ქ. №31, ტელ.: 2-28-86.

ქარელის რაიონი

№34 ქარელის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

ელგუჯა ესტატეს ძე **ცაბაძე** — ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე.

წევრები:

ნოდარ ალექსის ძე **გოგიჩაშვილი** — №40 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

იოსებ ტარიელის ძე **ეგნატაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე;

ალბერტი რაფდენის ძე **ინდუაშვილი** — რაიონის პროკურორის თანაშემწე;

მალვინა ჯემსის ასული **ხანფალიძე** — სასურსათო კომბინატის საამქროს უფროსი.

მისამართი: ქარელი, სარაიონო კულტურის სახლი, ტელ.: 3-16-59.

ხაშურის რაიონი

№35 ხაშურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —

როსტომ ივანეს ძე **ჭიპაშვილი** — სალოკომბინატი დეპოს უფროსის თანაშემწე;

წევრები:

ალექსი ტიმოთეს ძე **მახათაძე** — წიგნის მოყვარულთა რაიონული საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი;

თამაზ ავთანდილის ძე **ტაბატაძე** — გორის პოლიგრაფიული გაერთიანების ხაშურის სტამბის დირექტორი;

თეიმურაზ სერგოს ძე **ფარეიშვილი** — სახალხო სასამართლოს მოსამართლე;

კუკური სოლომონის ძე **ხარაზიშვილი** — იტრიის საშუალო სკოლის დირექტორი.

მისამართი: ხაშური, თამარ მეფ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და წევრების დანიშვნის შესახებ

(გაგრძელება).

თეთრი წყაროს რაიონი

№ 43 თეთრი წყაროს: საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —
მევლუდ შაქროს ძე **წიკლაური** — საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

წევრები:

გივი შალვას ძე **ბაინდურაშვილი** — ტბილისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ვეტექიმი;
ლია სიმონის ასული **გოგილიძე** — ასურეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
ნელი ნიკოლოზის ასული **გოდერძიშვილი** — თეთრი წყაროს საბალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე;
შალვა გიორგის ძე **წამალაშვილი** — აგროსამრეწველო საწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
მისამართი: ქ. თეთრი წყაროო, ჭავჭავაძის ქ. № 6, ტელ. 2-21-14.

ბოლნისის რაიონი

№ 44 ბოლნისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—
პეტრე იოსების ძე **დანელია**— საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.

წევრები:

ევტიხი ლუკას ძე **გოძეკიშვილი** — რაიონული სახელმწიფო არქივის გამგე;
ზურაბ ალექსანდრეს ძე **ერისთავი** — სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ბოლნისის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე;
ილგამ მახმად ოღლი **ნანჯანოვი** — სოფელ ქვემობოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
არმენაკ რუბენის ძე **საავიანი**— ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შრომის მოწყობისა და სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარე.
მისამართი: ბოლნისი, სულხანსაბას ქ. № 110, ტელ. 2-29-60.

მარნეულის რაიონი

№ 45 მარნეულის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —
ლუბოვ ნიკოლოზის ასული **დემენტიევა** — სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის რაიონული განყოფილების უფროსი.

წევრები:

ელეონორა კახრამან ყიზი **ალიევა** — მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნანული ნიკოლოზის ასული **დესპოტაშვილი** — დამხმარე საწარმოთა სამმართველოს ინსპექტორი;
თამბიდიგ გუმბათ ოღლი **ისმაილოვი** — ოლგეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი;
ბახიშა ჰუსეინის ძე **კალაევი**— ომსის და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.
მისამართი: მარნეული, რუსთაველის ქ. № 43, ტელ. 2-24-64.

№ 46 შულავერის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —
ალიფა მუსტაფ ოღლი **მასმალიევი** — სადახლოს ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

წევრები:

ზაურ ილიას ძე **გოგოლაძე** — ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის დირექტორი;
ბაქრ მაჰამედ ოღლი **დამირჩალოვი** — შულავრის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე;
აყდარ მამედალი ოღლი **მამედოვი** — მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის უფროსი ეკონომისტი;
ვაგინაკ მეზაკის ძე **ტერ-აკოპოვი** — შაუმიანის ღვინის საბჭოთა მეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.
მისამართი: ს. შულავერი, ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა, ტელ. 94-3-46.

ქ. რუსთავი

№ 47 ფიროსმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —
